



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვერის ხიდი

ვერის ხიდი, თბილისის ერთ-ერთი უძველესი ხიდი, მდ. ვერეზე, ე. წ. ბეჭბუდას ხიდი. ეს სახელი მიიღო როსტომ მეფის დროს მოღვაწე ბარათუხუცესის ხოჯა ბეჭბუდას სახელიდან, რ-საც მიაწერენ მდ. ვერეზე, მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე ქვითკირის ხიდის აგებას XVII ს. 40-50-იან წლებში. პირველად ამ ხიდის შესახებ ცნობას ვხვდებით ვახუშტისთან: „ვერასა ზედა არს ხიდი კვითკირისა“. შემდგომში ამავე ცნობას გვანვლის ი. გიულდენშტედტი, რ-იც ამბობს, რომ ვერის ხეზე არის „ქვის ხიდი“. ვ. ხ. გადაიხურა გმირთა მოედნის 1981 ჩატარებული რეკონსტრუქციის დროს.
